პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი
№ 270 (13962) | შაბათი, 18 ნოემბერი, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.

ინიციატორთა ახალი წარმატება

დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის იუბილეს აღსანიშნავად რესპუბლიკის რაციონალიზატორთა საიუბილეო შეჯიბრების ინიციატორებმა, ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის სიჩქარეთა კოლოფის საამქროს ამწყობის, სოციალისტური შრომის გმირის ი. ხაზარაძის რაციონალიზატორთა კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრებმა, რომლებიც რუსთავის ამწესამშენებლო ქარხნის მთავარი ინჟინრის ბ. დემეტრაშვილის რაციონალიზატორთა ბრიგადას ეჯიბრებიან, ერთიორად გადაამტეს საოჯახოდ ნაკისრ ვალდებულებებს.

ი. ხაზარაძის ბრიგადამ ათ თვეში შეიმუშავა 85 წინადადება, წარმოებაში დანერგა 64 და ამ გზით ვალდებულებით ნაკისრი 30 ათასი მანეთის ნაცვლად ქარხანას 60 ათასი მანეთი ეკონომია მისცა. ბრიგადირმა ი. ხაზარაძემ შეძმნა და წარმოებაში დანერგა სამანქანო ზეთების რეგენერაციის სპეციალური დანადგარი, რითაც ქარხანამ 26.500 მანეთი წლიური პირობითი ეკონომია მიიღო.

ვალდებულებით ბრიგადის რაციონალიზატორებს 10 ტონა ფერადი და 50 ტონა ნავი ლითონი უნდა დაეზოგათ. ფაქტიურად 20 ტონა ფერადი და 120 ტონა ნავი ლითონი დაზოგეს, ამასთან ნაკისრი 10 ათასი მანეთის ნაცვლად დაზოგილია 21 ათასი მანეთის ძირითადი და დამხმარე მასალა.

ბრიგადის წევრებმა წინადადებათა გაფორმებასა და დანერგვაში დახმარება გაუწიეს 115 რაციონალიზატორს და რაციონალიზატორულ მუშაობაში დამატებით ჩააბეს 55 ავტომშენებელი.

რაციონალიზატორთა საიუბილეო შეჯიბრების ინიციატორები წლის ბოლომდე კიდევ ათასობით მანეთ ეკონომიას მისცემენ ქარხანას. („კომუნისტის“ საკ. კორ.).

ხუთწლედი—ვადამდე

ქართული ელმავლის სამჭედლოში

თბილისელი ელმავალმშენებლები ებრძვიან ხუთწლედის ვადამდე შესრულებისა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის გაწეილ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში

ქართული ელმავლის ისტორია 1958 წლიდან იწყება, როცა თბილისის ელმავალსამშენებლო ქარხანამ ნოვოჩერკასკის ელმავალსამშენებლო ქარხნის ტექნიკური დოკუმენტაციით დაიწყო მუდმივ დენზე მომუშავე რვაღერძიანი სატვირთო ელმავლების გამოშვება. მოკლე დროში ქართველმა ელმავალმშენებლებმა შეძლეს აეთვისებინათ ეს რთული და შრომატევადი საქმე და ელმავლების სერიული გამოშვების შემდეგ ქარხანა აქციეს ერთადერთ საწარმოდ, რომელიც აკმაყოფილებს საბჭოთა კავშირის რკინიგზის ტრანსპორტის მოთხოვნილებას მუდმივ დენზე მომუშავე ელმავლებით. თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღეს თბილისის ელმავალსამშენებლო ქარხნის პროდუქცია სამამულო ელმავალმშენებლობის ტექნიკური დონის განსაზღვრელია. ეს ბევრს ავალებს ქარხნის კოლექტივს. ამიტომაც არის, რომ აქ თავდადებით ებრძვიან ქართული ელმავლის სახელისათვის, ზრდიან რენტაბელობას, წარმადობას, წარმოებაში ნერგავენ ელმავლების ახალ-ახალ მოდელებს, აჩქარებენ მათს სერიულ გამოშვებას, აუჭრიან სებენ ელმავლების ტექნიკურ-ეკონომიურ მაჩვენებლებს, რაციონალიზატორული წინადადებებით და გამოგონებებით წლიურად მილიონობით მანეთ ეკონომიას აძლევენ სამშობლოს.

ქართველმა ელმავალმშენებლებმა წარმატებით იშრომეს საიუბილეო წელს. საერთო პროდუქციის გამოშვების ათი თვის გეგმა შესრულებულია 100,2 პროცენტით. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია რამდენიმე ათასი მანეთის პროდუქცია, შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით მოგება 0,7 პროცენტით გაზარდეს, წარმოებაში დანერგეს ძრავების ასაწყობი ნაკადური ხაზი, გაეაუმჯობესეს სალოკომოტივო ავტომატიზაციის სიგნალიზაცია; წლიურმა პირობითმა ეკონომიამ 521 ათასი მანეთი შეადგინა, მარტო რაციონალიზატორულ წინადადებათა და გამოგონებათა დანერგვით მიღებულია 350 ათასი მანეთი ეკონომია, მოდერნიზებულია 13 ჩარხი და დანადგარი.

საიუბილეო წლის შრომითს ვატეს კვლავ წარმატებით ეწევიან ქართველი ელმავალმშენებლები მათს წინაშე დადებ ამოცანები დგას. პირველ რიგში ეს არის წლიური გეგმის შესრულება, შემდეგ კი ხუთწლედისათვის შესაფერისი ეკონომიური საფუძვლის განმტკიცება, რათა ღირსეულად შეხვდნენ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს და ვადაზე ადრე შეასრულონ ხუთწლედის გეგმა.

ამ ამოცანების გადასაჭრელად ემზადება დღეს თბილისის ელმავალსამშენებლო ქარხნის კოლექტივი. პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის გაფართოებულ სხდომაზე, რომელიც ამ დღეებში გაიმართა, ელმავალმშენებლები გაეცნენ ახალი საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორების — მოსკოვის ელექტრომექანიკური ქარხნის კოლექტივის მოწოდებას. როგორც ცნობილია, ამ მოწოდებამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა მთელ საბჭოთა ქვეყანაში და ჩვენს რესპუბლიკაშიც.

საქართველოს რამდენიმე საწარმო გამოეხმაურა მოსკოველ ელექტრომექანიკოსებს და ახალი გადიდებული ვალდებულებები იკისრა.

გაფართოებულ სხდომაზე ელმავალსამშენებლო ქარხნის კოლექტივმა გადახდა თავის შესაძლებლობებს, ჩაება ხუთწლედის ვადამდე შესრულებისა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის გაწეილ სოციალისტურ შეჯიბრებაში და იკისრა ახალი, გაზრდილი ვალდებულებანი.

ვალდებულებათა გაფორმების ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ ქარხნის დირექტორი ბ. სამხარაძე, პარტკომის მდივანი ა. ბურული, პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე ბ. ლომჯანაძე, ალკ კომიტეტის მდივანი ვ. ლომაძე, მოწინავე მუშები ვ. პაპაიანაშვილი, ბ. ჩიდუნელი და ბ. აბიაშვილი, ნათქვამია:

ხუთწლედის პროდუქციის საერთო მოცულობის გეგმის შეკასრულებით 1970 წლის 7 ნოემბრისათვის, ხოლო ელმავლების გამოშვებისას — 1970 წლის 5 დეკემბრისათვის. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის რენტაბელობას გაეზრდით 19 პროცენტით. ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავზე გამოვუშვებთ გაუმჯობესებული ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლებით მუდმივ დენზე მომუშავე რვაღერძიანი მძლავრი ელმავლების ახალ საცდელ ნიმუშებს. საიუბილეო წლის ბოლომდე ავითვისებთ და 1968 წელს დავიწყებთ ელმავლის ახალი სერიის — „ვლ-10“-ის სერიულ გამოშვებას. ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავზე მთლიანად ავითვისებთ № 3 მშენებარე კორპუსის საწარმოო სიმძლავრეს. 1968 წელს დავნერგავთ ელმავალ „ვლ-10“-ის კონვეიერული აწყობის მეთოდს.

ხუთწლედის მანძილზე რაციონალიზატორულ წინადადებათა და გამოგონებათა ხარჯზე სამშობლოს მივაცემთ მილიონ 100 ათას მანეთ პირობით ეკონომიას. ხუთწლედში მივაღწევთ 600 ტონა შავი, 50 ტონა ფერადი ლითონების, 3 მილიონ 200 ათასი კილოვატ-საათი ელექტრონენერგიისა და 4.000 ტონა პირობითი საბობოს ეკონომიას.

ქართველ ელმავალმშენებელთა ეს ვალდებულებანი ქარხნის კოლექტივის დიდ პერსპექტივებზე მეტყველებენ. იმედია სიტყვა საქმედ იქცევა, ელმავლების თბილისური სამკედლოს მშრომელი ადამიანები კიდევ უფრო აამაღლებენ მშობლიური ქარხნის მარკას და მძლავრ ლოკომოტივებს მიაწვდიან ჩვენს სახალხო მეურნეობას.

სურათზე: ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის ელექტროსამანქანო საამქროს მოწინავე ადამიანები (მარცხნიდან): ვ. ისაკიევი, შ. ნოზაძე, მ. კაანანაძე, გ. აბიაშვილი და ვ. გობეჯიშვილი.

ფოტო ს. კილაძისა.

ზეიმი ბაქოში

ზუსტად 50 წლის წინათ, 15 (2) ნოემბერს ბაქოში გამოცხადდა საბჭოთა ხელისუფლება. ეს ქალაქი გახდა სოციალისტური რევოლუციის ფორპოსტი აზერბაიჯანსა და მთელ ამიერკავკასიაში.

ღირსშესანიშნავ მოვლენას მიეძღვნა 15 ნოემბრს აზერბაიჯანის კომპარტიის ბაქოს კომიტეტისა და ბაქოს მშრომელთა დეპუტატების საბჭოს გაერთიანებული საზეიმო სხდომა. მოხსენება გააკეთა აზერბაიჯანის კომპარტიის ბაქოს კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. მ. კადიროვმა. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბაქოს პროლეტარიატის გმირულ ბრძოლაზე ილაპარაკეს კომუნისტთა ლენინური გვარდიის ვეტერანებმა — სკკპ წევრმა 1917 წლიდან მუსიერ დადაშევმა, ბაქოს კომუნის ყოფილმა სახალხო კომისარმა, სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს შ ა ა. ბ. კარინსკიმ.

სხდომამ დიდი აღმავლობით მიიღო მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი.

საზეიმო სხდომას დაესწრნენ აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ი. ახუნდოვი, აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ა. ისკენდეროვი, აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ე. ნ. ალიხანოვი.

საზეიმო სხდომის ჯონაწილეებმა, რესპუბლიკის დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლებმა გვირგვინით შეამკეს 26 ბაქოელი კომისრის საფლავი. (საკდესი).

ჩვენი მწვანე მეგობრები

მოსფლიოს ტყეების მესამედი საბჭოთა კავშირზე მოდის. რით არიან ისინი ღირსშესანიშნავი დღეს? რა მოელის მათ ხვალ? ამ კითხვებზე უპასუხა სრულიად საკავშირო სამეცნიერო კოფერენციამ, რომელიც მიეძღვნა სატყეო მეურნეობის მეცნიერებისა და პრაქტიკის მიღწევებს საბჭოთა ხელისუფლების 50 წლის მანძილზე. კოფერენცია ოთხ დღეს გაგრძელდა მეტყევეობისა და სატყეო მეურნეობის მექანიზაციის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში და დამთავრდა 16 ნოემბერს საღამოს.

ყოველწლიურად ჩვენი ქვეყანა ტყიდან იღებს 400 მილიონ კუბურ მეტრზე მეტ მერქანს. ყოველ წელს 2.100 ათას ჰექტარზე მეტ ფართობზე ამენებენ ახალ ტყეებს. ეს 50-60-ჯერ მეტია, ვიდრე რევოლუციამდელ რუსეთში იყო. სსრ კავშირის სამხრეთისა და ევროპული ნაწილის ცხტრის მთელ რიგ რაიონებში ტყეების ფართობები ორათუ შემცირდა, ორამდე მნიშვნელოვნად გაიზარდა კიდეც. ამაზე ილაპარაკა თავის მოხსენებაში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. ი. რუბცოვმა.

დიდმნიშვნელოვან პრობლემას — ტყეების აღრიცხვასა და ტყის მოწყობას მიუძღვნა თავისი მოხსენება მეტყევეობისა და სატყეო მეურნეობის მექანიზაციის სრულიად საკავშირო ინსტიტუტის დირექტორმა საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ნ. პ. ანუჩინმა.

მეტყევეობაში გენეტიკისა და სელექციის უახლეს მიღწევათა გამოყენებაზე ილაპარაკა საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ა. ს. იაბლოკოვმა.

ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი გ. ა. ლარიუხინი შეეხო მექანიზაციის საკითხებს.

კონფერენციის პლენარულ და სექციების სხდომებზე მოისმინეს 100-მდე მოხსენება.

ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტისაგან

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტი იუწყება, რომ ნაშრომების მიღება 1968 წლის სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების მოსაოვებლად მთავრდება 15 დეკემბერს. მიიღება ამა წლის 15 ივნისამდე გამოქვეყნებული (შესრულებული, აგებული) ნაშრომები.

დოკუმენტების გამოგზავნასა და გაფორმებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე მიმართეთ ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტს მისამართით: მოსკოვი, ცენტრი, გსპ 2, ნეგლინის ქუჩა № 15, ტელეფონი ბ-3-44-67 და ბ-3-19-30.

საიუბილეო ზეიმობა კინოეკრანებზე

დოკუმენტური ფილმების ცენტრალური სტუდიის 80-ზე მეტი კინოოპერატორი და რეჟისორი იღებდა საიუბილეო ზეიმობას მოსკოვში, რომელიც მიეძღვნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს. ახლა ჩვენი ქვეყნის კინოთეატრებში უჩვენებენ ქრონიკის ხუთ სპეციალურ გამოშვებას: „ოქტომბრის დროშით“, „ოქტომბრის გზა მილიონთა გზაა“, „ჩვენი მიზანია კომუნიზმი“, „საზეიმო სხდომა მოსკოვში“, „პარადი და დემონსტრაცია წითელ მოედანზე“.

პირველი სამი გამოშვება — ეს არის კინორეპორტაჟი კრემლის ყრილობათა სასახლიდან სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს გაერთიანებული საზეიმო სხდომის შესახებ.

(საკდესის კორ.).

მეგობრობის თანავარსკვლავედი

საბჭოთა კავშირის ყველა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკის, ეროვნული ოკრუგების ლიტერატურათა წარმომადგენლები „შეხვდნენ ერთმანეთს“ უკრაინული გამოცემის „სუზორიას“ („თანავარსკვლავედის“) ფურცლებზე. შესანიშნავად გაფორმებულ კრებულში წარმოდგენილია 150-მდე ავტორის ლექსები და მოთხრობები.

კიევის გამომცემლობა „დნიპრო“, რომელმაც ეს ორიგინალური წიგნი გამოუშვა, აპირებს კვლავაც გააცნოს უკრაინელ მკითხველს „მომავ რესპუბლიკების ლიტერატურის ახალი ნაწარმოებები. (საკდესის კორ.).

სამპროცენტიანი სესხის ტირაჟი

1966 წლის სახელმწიფო სამპროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხის მოგებათა მეთერთმეტე ტირაჟი გაიმართა 15 ნოემბერს ბაქოში. სესხის ერთ თარიღზე გათამაშდა 512.560 მანეთის 9.400 მოგება. მათ შორის დიდი მოგებანი — 5 ათასი, 2.500 და ათასი მანეთის ოდენობით. (საკდესი).

მოსკოველთა სოციალისტური ვალდებულება

მოსკოვი, 17 ნოემბერი. (საკდესის კორ.). დღეს 16 საათზე კინოთეატრ „ოქტომბერში“ გაიხსნა მოსკოვის პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციათა აქტივისა და მშრომელთა წარმომადგენლების კრება.

მოხსენება — მოსკოველთა სოციალისტური ვალდებულებანი 1968 წლის საბრძოლო-სამეურნეო გეგმისა და ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის — გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ვ. გრიშინმა.

ვარსკვლავი მარტენზე

კომუნარსკი, (ლუგანსკის ოლქი), 17 ნოემბერი. (საკდესის კორ.). მეხუთიათასე ტონა ზეგვემითი ლითონი ჩაიწერეს დღეს თავიანთ ანგარიშში კომუნარსკის მეტალურგიული ქარხნის პირველი მარტენის ღუმელის მეფოლადეებმა.

აგრეგატთან მუშაობდნენ კომუნისტი მეფოლადეები სოციალისტური შრომის გმირი ალექსი ლუგოვსკოო, იღია ნაზარენკო, ალექსი ზახაროვი, პეტრე პეტრუშევი. ისინი თხუთმეტი წლის წინათ მოვიდნენ ქარხანაში სახელოსნო სასწავლებლიდან.

— კარგად უძღვებიან ტექნოლოგიურ პროცესს, — თქვა ნოვატორებზე საამქროს უფროსმა ვ. ვ. მოსიაშვილმა. — ყველა ოპერაცია ზუსტად არის გამოზომილი და ანგარიშგაწეული — დნობის ამ მძლავრ ამჩქარებელს უნარიანად იყენებენ. ღუმელის თაღი 380 დნობას უძლებს, უნდა ითქვას, რომ ასეთი სიმძლავრის აგრეგატებზე ჯერ არავის არ მიუღწევია ასეთი მაღალი მაჩვენებლებისათვის.

მეფოდი, რომელიც მოწინავე კოლექტივმა შეიმუშავა, ყველა მეფოლადის კუთვნილება ხდება. ქარხანაში შეიქმნა მოწინავე გამოცდილების სკოლა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ალექსი ლუგოვსკოო.

გვთავაზობს პოლონეთი

50-ზე მეტ ქვეყანაში გააქვს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას თავისი საკონტროლო-საზომი აპარატები და ოპტიკური ხელსაწყოები. მათი ძირითადი მყიდველია საბჭოთა კავშირი.

16 ნოემბერს მოსკოვში პოლონეთის საგარეო ვაჭრობის გაერთიანება „მეტრონექსმა“ გახსნა სამრეწველო საკონტროლო-საზომი და ლაბორატორიული აპარატურისა და ოპტიკური ხელსაწყოების ახალი ნიმუშების გამოფენა.

(საკდესი).



აკადემიკოსი ნ. მუსხელიშვილი გერმანიის (ბერლინის) მეცნიერებათა აკადემიის უცხოელ წევრად აირჩიეს

ამ რამდენიმე დღის წინათ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან მიიღო წერილი, რომელშიც გერმანიის (ბერლინის) მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი პროფესორი ვ. ხარტკე იუწყება, რომ 12 ოქტომბერს ამ აკადემიის პლენუმმა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი ნ. ი. მუსხელიშვილი აირჩია გერმანიის (ბერლინის) მეცნიერებათა აკადემიის უცხოელ წევრად.

გერმანიის (ბერლინის) მეცნიერებათა აკადემია მესამე საზღვარგარეთული აკადემიაა, რომელმაც თავის უცხოელ წევრად აირჩია გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი. აქამდე აკადემიკოსი ნ. ი. მუსხელიშვილი იყო პოლონეთისა და ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიების უცხოელი წევრი. (საქდესი).

„ოქტომბრის 50 წლისთავი და საერთაშორისო მუშათა კლასი“

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციამ მუშაობა დაამთავრა

15 ნოემბერს კრემლის თეატრში გაიმართა საბოლოო სხდომა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციისა „ოქტომბრის ორმოცდაათი წლისთავი და საერთაშორისო მუშათა კლასი“.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი მოღვაწენი, მუშათა, დემოკრატიული და ეროვნულ-განმთავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწენი, სამოცდაათზე მეტი ქვეყნის მეცნიერი მარქსისტები. ორმოცდაათი წლის განმავლობაში მუშათა კლასის განვითარებისა და მსოფლიო რევოლუციურ-განმათავისუფლებელ მოძრაობაზე მისი ზემოქმედების აქტუალური პრობლემებს შესახებ ხუთი დღის დისკუსიის დროს გაკეთდა 140-ზე მეტი კაცი.

მეცნიერ მარქსისტთა ეს დიდი ფორუმი მოაწყო საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ინსტიტუტმა და მიეძღვნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს.

საბოლოო სხდომაზე გამოვიდნენ მექსიკის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ა. მარტინეს ვერდუგო, არგენტინის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ო. ვიოლი, საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ინსტიტუტის დირექტორი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ტ. ტ. ტიმოფეევი, ეკვადორის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ვენერალური მდივანი პედრო საადი, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, მორის ტორეზის ინსტიტუტის ადმინისტრაციული საბჭოს თავმჯდომარე ჟ. კონიო, კანადის კომუნისტური პარტიის ეროვნული თავმჯდომარე ტ. ბაკი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერების განყოფილების გამგის მოადგილე ზ. ვრუბლევსკი.

დასასრულ კონფერენციაზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი.

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციამ „ოქტომბრის ორმოცდაათი წლისთავი და საერთაშორისო მუშათა კლასი“, თქვა ბან, ჩაიარა ინტერნაციონალიზმის, დიდი ოქტომბრის რევოლუციის იდეების ნიშნით.

ოქტომბრის ორმოცდაათი წლის გამოცდილებამ, ხაზი გაუსვა ბ. ნ. პონომარიოვმა, უეცლობლად დაადასტურა, რომ დღეს კაცობრიობის წინაშე მდგომი ძირეული საკითხების გადაჭრა განუყრელად დაკავშირებულია მსოფლიოს სოციალისტურ გარდაქმნასთან. დიდი მუშაობა, ძნელი ბრძოლა მოგველის, რომ ბოლომდე მივიყვანოთ ოქტომბრით დაწყებული საქმე.

მარქსისტ-ლენინელები, განაგრძო ორატორმა, თანამედროვე ეპოქის წამყვან იდეურ ძალას წარმოადგენენ. სწორედ ისინი იძლევიან ყველაზე სწორ ბასუხს საკითხებზე, რომლებსაც აყენებდა ცხოვრება, ბრძოლის მსვლელობა. ახლა, როცა საერთაშორისო მუშათა კლასს აეხსნა განსაკუთრებით დიდი პასუხისმგებლობა ხალხების, მთელი კაცობრიობის ბედისათვის, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ნამდვილად მეცნიერულ მიდგომას თანამედროვეობის პრობლემებისადმი, ნათს ანალიზს საერთაშორისო მუშათა კლასის პოზიციებიდან.

ამ კონფერენციის მუშაობა, განაცხადა ბ. ნ. პონომარიოვმა, მოწმობს, თქვა მნიშვნელობას ანიჭებენ მუშათა მოძრაობის მონაწილენი აზრთა საერთაშორისო გაზიარებას პოლიტიკის სრულყოფისათვის, ერთობლივი მეცნიერულ-თეორიული პრობლემების შემუშავებისათვის.

შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ, აღნიშნა ორატორმა, რომ ახლანდელი კონფერენცია ხელს შეუწყობს სხვადასხვა ჭვეყნის მარქსისტების, პროგრესული საზოგადოებრივი აზრის წარმომადგენლების შემოქმედებითი თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას, ყოველნაირი ანტიკომუნიზმის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის კიდევ უფრო გაძლას.

კონფერენციაზე გამოსულმა ბეგრმა ორატორმა აღნიშნა, რომ უკვე მომწიფდა კომუნისტური და მუშათა პარტიების ახალი საერთაშორისო თათბირის მოწვევის ო�ილებობა, — თქვა ბ. ნ. პონომარიოვმა.—როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მტკიცედ დგას ამ პოზიციას. იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, რომელიც ახლა განსაკუთრებით მწვავდება, მოითხოვს მთელი რევოლუციური ძალების შეკავშირებას ეროვნულ ფარგლებში და მსოფლიო მასშტაბით.

ამს. ბ. ნ. პონომარიოვმა გამოთქვა რწმენა, რომ საერთაშორისო მუშათა მოძრაობის პრობლემების თეორიული დამუშავება წარმატებით განვითარდება და მუშათა და რევოლუციური მოძრაობის ყველა რაზმს გაუნათებს კაპიტალიზმზე სრული გამარჯვების გზას.

(საკდესი).

გამარჯვება, ქართველო მინავ!

ჰორსტ ბიტნერი,

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში

□

თავის მხრივ პროლეტარული ინტერნაციონალისადმი ერთგული საბჭოთა მუშათა კლასი ყოველთვის გერმანელი კომუნისტებისა და გერმანიის მუშათა კლასის მხარეზე იდგა. ფაშიზმის შავბნელ წლებშიც კი საბჭოთა არმიის მხარეზე, პარტიზანულ შენაერთებში ბრძოლის დროს და ჰიტლერულ საკონცენტრაციო ბანაკებში გერმანიის მუშათა კლასის საუკეთესო წარმომადგენლებმა გაამართეს ინტერნაციონალიზმისა და სოციალისტური საბრძოლო თანამეგობრობის მტკიცე ტრადიციები.

1917 წლის ისტორიული დღეების შემდეგ ბევრი ხალხი დაადგა სოციალიზმის გზას, და ჩვენ ბედნიერები ვართ, რომ ჩვენი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ეკუთვნის ხალხთა დიდ სოციალისტურ ოჯახს. ეს შესაძლებელი გახდა იმის მეოდგად, რომ გერმანიის მუშათა კლასი მტკიცედ იბრძვის გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობით გერმანული ფაშიზმის ნაშთების წინააღმდეგ, მშვიდობისა და სოციალიზმისათვის; შესაძლებელი გახდა საბჭოთა კავშირის არსებობის, მისი მუშმივი დასმარებისა და მხარდაჭერის შედეგად.

ძნელი იყო ჩვენი გზა. ნაგრეგები და მილიონობით მოტყუებული ადამიანი — აი მემკვიდრეობა, რომელიც ჩვენს ხალხს დაუტოვა ფაშიზმმა. დღეს, სახელოვანი საბჭოთა არმიის მიერ ჰიტლერული ფაშიზმის განადგურების 22 წლის შემდეგ, შეგვიძლია აღვნიშნოთ:

— პირველად გერმანიის ისტორიაში მუშათა კლასმა მოიპოვა ძალაუფლება გერმანიის ერთ ნაწილში, კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის სამშობლოში, და შექმნა საკუთარი სახელმწიფო.

— გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვა მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში და დღეს მსოფლიოს ათ წამყვან ინდუსტრიულ სახელმწიფოს რიგში დგას.

— გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ მნიშვნელოვნად განიმტკიცა საერთაშორისო პრესტიჟი და თავის თანმიმდევრული მშვიდობიანი პოლიტიკის შედეგად ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანის პატივისცემით სარგებლობს როგორც ანტიიმპერიალისტური სახელმწიფო.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ განვლილი ხუთი ათეული წლის უმნიშვნელოვანეს ისტორიულ გამოცდილებად მიგვაჩნია იმის შეგნება, რომ საბჭოთა კავშირთან მეგობრობა ძირითადი ეროვნული საკითხია ყველა გერმანელისათვის.

ჩვენ ვიცით: ვინც საბჭოთა კავშირთან ერთადაა, ის კაცობრიობის ავანგარდშია; ჩვენი რესპუბლიკა ძმურადაა დაკავშირებული საბჭოთა კავშირთან მეგობრობს, ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებით და დღეს ამენებს სოციალისტური საზოგადოების განვითარებულ სისტემას.

ამასთან გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შეგნებული აქვს განსაკუთრებული მოვალეობა ევროპის, დასავლეთ გერმანიის იმპერიალისტური სახელმწიფოს საზღვარზე მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეში. დღეს ევროპის უშიშროებას დიდ საფრთხეს უქმნის ბონის მთავრობის აგრესიული, რევანშისტული პოლიტიკა, რომელსაც აქტიურ მხარდაჭერას უწევს ამერიკის იმპერიალიზმი.

დასავლეთ გერმანიის მთავრობა ევროპის ერთადერთი მთავრობაა, რომელიც მოითხოვს არსებული საზღვრების გადასინჯვას, მეორე მსოფლიო ომის შედეგების გაუქმებას. იგი პრეტენზიას აცხადებს ლაპარაკობდეს მთელი გერმანიის სახელით. ეს პრეტენზიები მოწმობენ დასავლეთ გერმანიაში აღორძინებული რევანშიზმის მისწრაფებას მოიპოვოს გერმანიის პირველი სოციალისტური სახელმწიფო — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა და აღმოსავლეთშიც გაავრცელოს გერმანიის იმპერიალიზმის ბატონობა.

მაგრამ საბჭოთა კავშირის ხალხები, რომლებმაც გაანადგურეს ფაშიზმი გმირულ, სისხლისმღვრელ ბრძოლაში, შეიძლება დარწმუნებული იყვნენ, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა პირნათლად შეასრულებს ევროპაში სოციალიზმის დასავლეთის ფორფოსტის ამოცანებს და ვარშავის ხელშეკრულების სხვა სახელმწიფოებთან კავშირით არ დაუშვებს, რომ ოდესმე გერმანიის მიწა-წყლიდან კვლავ დაიწყოს ომი.

უახლოეს დღეებში საქართველოს მშრომელებს ექნებათ შესაძლებლობა გაეცნონ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურული და მეცნიერული ცხოვრების მრავალ მხარეს. ჩვენ ვიცით, რომ კულტურის აყვავებისათვის აუცილებელია მშვიდობა, ჩვენ ვიცით, რომ კულტურა კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენს ადამიანებზე ემოციურად, ასრულებს დიდ როლს შეგნების ჩამოყალიბებაში, აბრკოლებს ხალხებს. საქართველოს სს რესპუბლიკაში „გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის დღეების“ პერიოდში მოეწყობა ქართველ მშრომელთა ასობით შეხვედრა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის მოღვაწეებთან, მეცნიერებთან და სპორტსმენებთან. ეს იქნება მეგობრობის შეხვედრები, თანამოაზრეთა შეხვედრები, რომლებიც მხარდამხარ იბრძვიან მშვიდობისათვის, სოციალიზმისა და მშრომელი ხალხის ბედნიერებისათვის, ეს შეხვედრები, უეჭველია, გაგვამდიდრებენ, გააღრმავებენ არსებულ მეგობრულ ურთიერთობას და დაამყარებენ ბევრ ახალ კონტაქტს.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის 300-ზე მეტი მუშაკი ჩამოვა ამ დღეებში თქვენს რესპუბლიკაში მეგობრობისა და მშვიდობის წარმომადგენლებად. ისინი იქნებიან სტუმრები საქართველოს სსრ სახელოვანი ხალხისა, რომელიც წარმატ

დიდი შეჯიბრება გრძელდება

ლაითაც უნდა გაიხედოთ — მამისონის დათოვლილი უღელტეხილიდან მოყოლებული ხიხათის კიკლუც ქედებამდე, რიონის ხეობაში გაშენებულ ზვრებსა თუ ბაღ-ბოსტნებში, ფერმებსა თუ ირის ბარაკის სბადაღებში — ყველგან შემოქმედებითი შრომის ცეცხლი ანთია. დიდი ზეიმის შემდეგ რამდენიმე დღე გავიდა, შრომის ტემპი კიდევ უფრო გაძლიერდა. რაიონის მშრომელებმა შეაჯამეს საიუბილეოდ ნაკისრი ვალდებულებათა შესრულება, მაგრამ წინ ხომ კვლავ დიდი საქმეებია!

შესანიშნავად გამოხატა ამ დღეთა გმირების ფიქრი და გრძნობა ვლოველმა მწველავმა კესო ბერიშვილმა, რომელიც ოცდათხუთმეტი წელია ალპური ზონის საძოვრებზე მუშაობს. მან თქვა:

— ამ ათი დღის წინათ საბჭოთა ხალხმა დიდი ოქტომბრის 50 წლისთავი იზეიმა. ჩვენ ახლაც ვეკითხებით საკუთარს თავს: — რით გავეხარეთ საუკარელი სამშობლო?...

კომუნისტი კესო ბერიშვილი ნაყოფიერი შრომით პირად მაგალითს აძლევს სხვა კოლმეურნეებს. იგი მუდამ მოწინავეთა რიგებშია.

მისი ყოველდღიური შრომისა და მოქმედების კანონია: ვალდებულება იკისრე? შეასრულე კიდეც! ჯერ არ ყოფილა ისეთი თვე, წელიწადი, რომ მას წვლილადობის გეგმა გადაჭარბებით არ შეესრულებინოს. პროდუქციის ხარისხი ხომ ყოველთვის სანმუშოა. იგი შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების მაგალითებს აძლევს თანამოსაქმეებს.

კესო ბერიშვილი დიდი ოქტომბრის ორმოცდამეათე წლისთავს ხელხვავიანად შეხვდა. ფერმაში მუშაობის მთელი ოცდათხუთმეტი წლის მანძილზე საშუალოდ თითო ძროხაზე 40 ტონა რძე მიიღო და 502 ხბო გაზარდა. საოქტომბრო ნობათიც ამას ჰქვია!

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა მთისკალთელი მწველავი გალინა სხირტლაძეც. როგორც ყოველთვის, ახლაც პირნათელია სოფლისა და ხალხის წინაშე. წველადობის წლიური გეგმა დიდხანია შესრულა, ოცდაცამეტი წლის მანძილზე, რაც ის ფერმაში მუშაობს. საშუალოდ ერთ ძროხაზე 45 ტონა რძე მოწველა და 500 ხბო გაზარდა.

ონელ მოწინავე მეცხოველეთა რიგებში არიან: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მწველავი ნინო ფარკოსაძე, საკაოელი ანა ბერელიძე, სეფელი იროდიონ ერისთავი, ნაკიეთელი დომენტი ჩიხრაძე, ქვედელი უარამან მაისურაძე. ვინ ჩამოთვლის მათ, ისინი ასობით არიან რაიონში!

სწორედ ასეთმა ადამიანებმა განაპირობეს შრომითი გამარჯვება. ჯერ კიდევ 10 ოქტომბრისათვის რაიონში წარმატებით შესრულდა სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის წლიური გეგმა. სახელმწიფოს მივყიდეთ 12.120 ცენტნერი რძე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 12.000 ცენტნერისა. გადაჭარბებით არის შესრულებული ავრეთვე მსხვილფეხა პირუტყვის სულადობის ზრდის გეგმა.

ზამთარი კარზე მოგვადგა. თეთრად ქათქათებენ მრისხანე ბუბის დათოვლილი მწვერვალები. ამიტომ წარსული წლების მწარე გაკვეთილიდან საჭირო დასკვნა გამოვიტანეთო, თავი ჭარბად დავუგროვეთ პირუტყვს: 88.000 ცენტნერის ნაცვლად 90.000 ცენტნერი მოვიმარაგეთ.

შემოდგომამ უხვად დაიბერტყა კალრულეს საქონელბრუნვის ათი თვის გეგმა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადება-შესყიდვის დავალება 122,6 პროცენტით გაანაღდეს, მნიშვნელოვნად ამაღლდა ვაჭრობის კულტურა.

საიუბილეო ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის ონის რაიკოპკავშირს კომუნისტური შრომის კოლექტივის საპატიო წოდება მიენიჭა.

პარტიის ონის რაიკომი, პირველადი პარტიული ორგანიზაციები ზრუნავენ იმისათვის, რომ თვითეულმა მშრომელმა წარმატებით შეასრულოს პარტიისათვის, სამშობლოსათვის მიცემული სიტყვა, სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვისათვის ბრძოლა ძლიერდება.

ოქტომბერმა წარსულს ჩააბარა ძველი, დრომოჭმული. საბჭოთა ადამიანებმა მთლიანად შეცვალეს შორეული მთის მხოლოდ ერთეული მწიგნობარი მოიძებნებოდა, ახლა რაიონში ვერ ნახავთ ისეთ ოჯახს, რომლის ერთ-ერთ წევრს უმაღლესი, საშუალო ან რვაწლიანი განათლება არა ჰქონდეს მიღებული.

აქაურ მკვიდრთა სახელით რესპუბლიკაც ამაყობს. აი ისინაც: სსრ კავშირის სახალხო მხატვარი უჩა ჯაფარიძე, აკადემიკოსი პეტრე გამყრელიძე, მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი რევაზ გამყრელიძე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი თამაზ გამყრელიძე, ცნობილი მსახიობი მედეა ჯაფარიძე, თადარიგის გენერალ-მაიორი ერმალოზ კობერიძე, ლენინური პრემიის ლაურეატი, პროფესორი შალვა კერესელიძე კოვპაკის პარტიზანული შენაერთის ხახელმოხვეჭილი მებრძოლი ვანო რეხვიაშვილი..

დიდად ამაღლდა მშრომელთა კულტურა. ჩვენს რესპუბლიკაში სახელი გაითქვა ონის სახალხო თეატრმა, რომელსაც საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გ. ჯაფარიძე ხელმძღვანელობს. მისი დადგმით ამ დღეებში მ. ალიგერის პიესა „ზოია“ იხილეს ონელებმა.

მრავალფეროვანი იყო თეატრალიზებული სანახაობა „ძლევამოსილი ნაბიჯები“, რომელიც ხალხმა ნოემბრის ზეიმზე იხილა. აქ ასახულია ჩვენი სახელოვანი ცხოვრების განვლილი გზა, თავისუფლებისათვის, ბედნიერებისათვის, მშვიდობისათვის თავდადებული ბრძოლა.

ფართო და ნათელია რაიონის მშრომელთა წინსვლის გზები, პერსპექტივები.

ორმოცდამეათე ოქტომბერმა ახალი ფურცელი ჩაწერა მთის სოფლის ისტორიაში: დათოვლილი უღელტეხილის ქვეშოთ, ელნათურებით გაკაშკაშებულ კოლმეურნეთა კარიბჭეში პირველად აციმციმდა ცისფერი ეკრანი, დიდი ოქტომბრის დღესასწაულის დაუვიწყარი ამბების გადაცემას უყურეს მათ მშობლიური მოსკოვიდან.

დიახ, მძლავრი შემოქმედებითი შრომის დღეებია ოქტომბრის შუქით გამთბარ შორეული მთიანი რაიონის სოფლებშიც. ახლა რაიონის მშრომელთა, უველა კომუნისტის ფიქრი და ენერგია მიმართულია იქითკენ, რომ ერთი წუთითაც არ შეელოდეს იუბილესთვის მზადების დღეებში გაჩაღებული შეჯიბრების ტემპი, ვამრავლოთ წარმატებანი ჩვენი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ყველა უბანზე.

გ. აბაიშვილი.

საქართველოს კპ ონის რაიკომის პირველი მდივანი.

კომუნისტური შრომის კოლექტივები

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალისტშრომა შეჯიბრებამ, რაც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავად გაიმართა ჩვენს დიდ ქვეყანაში, დაგვანახვა საბჭოთა მშრომელი ადამიანის რევოლუციური სულისკვეთება, შემართება, რომელსაც დიდი მწვერვალების დაპყრობა შეეძლო.

წლის დასაწყისიდანვე ჩაება **თბილისის კონიაკის ქარხანა** კომუნისტური შრომის კოლექტივი ამ შეჯიბრებაში და მნიშვნელოვან წარმატებებსაც მიაღწია. ქართველმა კონიაკმა დაამშვენა საიუბილეო წლის სუფრა და კიდევ უფრო შორს გაითქვა სახელი.

საოქტომბრო დღესასწაულისათვის ქარხანამ შეასრულა სოციალისტური შეჯიბრებით გათვალისწინებული ყველა ვალდებულება და ღირსეული ჯილდოც მიიღო. კოლექტივს მუდმივ მფლობელობაში გადაეცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 50 წლისთავის სამახსოვრო დროშა. ეს დიდი სიხარული იყო ჩვენი ქარხნის კოლექტივისათვის. მაღალმა ჯილდომ აღგვაფრთოვანა და მეტი პასუხისმგებლობით გავაჩაღეთ შრომა საიუბილეო წელს, მთელი ჩვენი შიდა რეზერვები წლიური გეგმების შესრულებისაკენ წარვმართეთ.

საიუბილეო წლის შრომითი ვახტი ჯერ კიდევ გრძელდება. კოლექტივის ყველა რგოლი, თვითეული წევრი იბრძვის იმისათვის, რომ წარმატებით დავამთავროთ იგი.

მაგრამ ჩვენი კოლექტივი, როგორც ყველა მოწინავე საწარმო, აქედანვე ემზადება 1968 წლისათვის. სწორედ ამიტომ ეხმაურება ჩვენი ქარხნის კოლექტივი მოსკოველთა მოწოდებას და საბჭოთა ქვეყნის სხვა საწარმოებთან ერთად აჩაღებს შრომას ხუთწლედის ვადამდე შესრულებისა და დიდი ბელადის — ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

ამ დღეებში ქარხნის კოლექტივმა ერთხელ კიდევ გადახედა თავის შესაძლებლობებს და მოსკოველთა მოწოდების პასუხად კისრულობს ახალ ვალდებულებებს:

1. ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმას შეასრულებთ ორი თვით ადრე — 1970 წლის 1 ნოემბრისთვის.

2. ხუთწლედით გათვალისწინებული გეგმის ზევით, 1970 წლის ბოლოსათვის გამოვუშვებთ 2,5 მილიონი მანეთის საერთო პროდუქციას, მათს შორის 70 ათას დეკალიტრ კონიაკს.

3. სამშობლოს მივცემთ 500 ათას მანეთ ზეგეგმითს მოგებას.

4. 150 ათასი მანეთით შევამცირებთ პროდუქციის თვითღირებულებას, ხოლო 1965 წელთან შედარებით 20 პროცენტით გავზრდით შრომის ნაყოფიერებას.

5. წარმოების დანაკარგების შემცირების ხარჯზე ხუთწლედის მანძილზე გამოვუშვებთ ზეგეგმითს 1.200 დეკალიტრ კონიაკს, ამასთანავე ქარხნის პროდუქციის ჯილდოების სამძლავრეს გავზრდით 100 ათასი დეკალიტრით.

6. 5 პროცენტით შევამცირებთ ელექტროენერგიისა და სათბობის ხარჯებს, მოვაწყობთ საექსპლოატაციო პროდუქციისა და სუვენირების საამქროს, გამოვუშვებთ 10 წლის ხიძელის ახალი სახის სამარკო კონიაკს.

7. ავაშენებთ და საექსპლოატაციოდ გადავცემთ 72-ბინიან საცხოვრებელ სახლს.

ვაკისრულობთ რა ამ ვალდებულებებს, გვჯერა, რომ რესპუბლიკის ჯეგების მრეწველობის საწარმოთა კოლექტივები მხარს დაუჭერენ მოსკოველთა მოწოდებას და ჩაებმებიან ხუთწლედის ვადამდე შესრულებისა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრის შრომითს ფერხულში.

კონიაკის ქარხნის კოლექტივის დავალებით: ო. რობაქიძე — ქარხნის დირექტორი, ნ. ნიკოლაიშვილი — პარტორგანიზაციის მდივანი, ბ. ცხენოსანიძე — საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე, ჯ. ჯანელიძე — ალკკ კომიტეტის მდივანი, ნ. ხაჭაპურიძე — კომუნისტური შრომის ბრიგადირი.

• • •

სურათზე: სამსხმელო საამქროს მეეტიკეტეები რ. მუჯიშვილი და ც. მაგრაქველიძე ანარისხებენ მზა პროდუქციას.

ფოტო ს. კილაძისა.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პლენუმი

ბუშინ გაიმართა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პლენუმი. პლენუმმა დაამყაოფილა ამხ. ი. აბაშიძის თხოვნა, რომ გაათავისუფლოს საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის წესდების შესაბამისად პლენუმმა გააუქმა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის თავმჯდომარის თანამდებობა.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პირველ მდივნად პლენუმმა აირჩია ამხ. გ. აბაშიძე.

საქართველოს ექსპოზიციამ მიიღო ოქროს მედალი

რესპუბლიკას გადაეცა ალჟირის საერთაშორისო ბაზრობის საპატიო დიპლომი

საქართველოს სსრ საერთაშორისო ბაზრობებისა და გამოფენების მუდმივი მონაწილე გახდა. აღსანიშნავია, რომ რესპუბლიკის ექსპოზიციებს, რომლებიც ასახავენ ქართველი ხალხის ეკონომიკისა და კულტურის პროგრესს, რომელსაც მივაღწიეთ საბჭოთა ხელისუფლების წლებში, საყოველთაო წარმატება აქვთ. ეს მეგრძელყოველრად ცხადყო მონრეალის მსოფლიო გამოფენა „ექსპო-67“-მა, რომელიც ოქტომბრის დამლაგს დაიხარა. ოცდაოთის გაზეთები წერდნენ: თუ სსრ კავშირის თხუთმეტი მოკავშირე რესპუბლიკის დათვალიერება „ექსპო-67“-ზე შეიძლება დიდებულ სიმფონიას შეადაროთ, საქართველოს სს რესპუბლიკის დღე გამოფენაზე მართლაც რომ მისი ბრწყინვალე ფინალი იყო.

თვალსაჩინო წარმატება ხვდა წილად საქართველოს ალჟირის IV საერთაშორისო ბაზრობაზეც. საბჭოთა პავილიონს მიენიჭა საპატიო ჯილდო — **ოქროს მედალი საქართველოს ხელოვნებისათვის.** ალჟირის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარემ ჰეკარი ბუმედიენმა ბაზრობის დახურვის საზეიმო კერენომონიაზე საბჭოთა პავილიონის დირექტორს გადასცა საპატიო დიპლომი. ამ ჯილდოთი ბაზრობის ეროვნმა აღნიშნა საქართველოს სსრ ფერადოვანი ექსპოზიცია, რომელიც მოიწყო, როგორც საბჭოთა პავილიონის დამოუკიდებელი განყოფილება.

17 ნოემბერს გაიმართა საქართველოს სავაჭრო პალატის საბჭოს სხდომა, რომელიც მიეძღვნა საპატიო დიპლომის გადაცემას. სხდომაზე შეიკრიბნენ დიდი სამრეწველო საწარმოების, ორგანიზაციებისა და უწყებების ხელმძღვანელები, სპეციალისტები, რომლებიც მონაწილეობდნენ საბჭოთა პავილიონის საქართველოს განყოფილების გაფორმებაში, პარტიული, საბჭოთა მუშაკები, თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. სხდომას ესწრებოდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ე. ჯაფარიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე დ. მამულაძე, რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. გიგაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ბ. ლომიძე.

სხდომა გახსნა საქართველოს სავაჭრო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ რ. ელიავულაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ სულ უფრო ნტკიცდება და ვითარდება საქართველოს ურთიერთობა საგარეო ვაჭრობის დარგში. მარტო თბილისის სამრეწველო საწარმოთა პროდუქცია ახლა იგზავნება მსოფლიოს 50-ზე მეტ ქვეყანაში.

სრულიად საკავშირო სავაჭრო პალატის გენერალურმა მდივანმა ი. გალდავნკომ პალატის პრეზიდიუმის დავალებით ამხ. ელიავულაშვილს გადასცა საპატიო დიპლომი და რესპუბლიკის მშრომელებს მიულოცა დიდი წარმატება ალჟირის საერთაშორისო ბაზრობაზე. ბაზრობის უამრავმა დამთვალიერებელმა, თქვა მან, როცა გაეცნენ საქართველოს სსრ ექსპოზიციას, საკუთარი თვალით ნახეს ლენინური ეროვნული საკითხის ბედნიერი გადაწყვეტა. ილიჩის ნათურებით გაკაშკაშებული სოფლები პატარა ქალაქებს დაემსგავსა. ლამაზად გამოიყურებიან ვენახებსა და ბაღ-ბოსტნებში ჩაფლული ოდა-სახლები. საკვეყნოდ არის ცნობილი კუორორტები შოვი და უწერა.

ხაზეიმო დღეების წინ მშრომელთა სამსახურში ჩადგა ონის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის, აფთიაქის, სპორტული ბაგა-ბაღის, გაზის კატორის კეთილმოწყობილი შენობები. კარგი საჩუქარი მიიღო რაიონის გამჩენ ახალგაზრდობამ — ქალაქში დამთავრდა სპორტის სასახლის მშენებლობა, მაღალმთიან სოფელ ღებში აღმართა ორსართულიანი საშუალო სკოლის შენობა...

მდინარე ჭანჭახის ხეობაში 7 ნოემბრიდან გლოველ კოლმეურნეთა კარ-მიდამოს ილიჩის ნათურები აკაშკაშებენ. ამ სიკეთეს იგებენენ ავრეთვე ღებისა და ჭოორის მუყაოთა მრრომელები.

ხარაჩოებშია ჩაფლული ქალაქი ონი. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ადმინისტრაციული, სამოცმანიანი და თვრამეტმანიანი საცხოვრებელი სახლების, მექანიზებული პურის საცხობი ქარხნის მშენებლობა. წყალსადენის მშენებლობის მუშაკები დაძაბულად შრომობენ, რომ ვადამდე მისცენ ქალაქს, ცივი წყალი ქალაქის მოსახლეობას.

თუ რევოლუციამდელ ზემო რაჭაში ერთი წყაროს ჯიმთა გამოცდის ნაკვეთის გამგეს ნ. გუდისაშვილს.

დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავ შეჯიბრებაში მოპოვებული წარმატებებისათვის, თბილისის № 5 სატვირთო ავტოსატრანსპორტო კანტორა დაჯილდოებულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს სამახსოვრო დროშით.

საწარმოს კლუბში გაიმართა მუშათა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკთა საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა მაღალი ჯილდოს გადაცემას. საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მდივანმა ვ. ოღოლბერიძემ სამახსოვრო დროშა გადასცა № 5 სატვირთო ავტოსატრანსპორტო კანტორის უფროსს ს. კვინიკაძეს და ტონსპორტის მუშაკებს მიულოცა მაღალი ჯილდო.

№ 5 ავტოსატრანსპორტო კანტორის კოლექტივმა იკისრა ახალი სოციალისტური ვალდებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს კოლექტივმა პირნათლად შეასრულა თავისი ვალდებულებანი საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში. თვითმფრინავებით მგზავრების გადაყვანა ომამდელ, 1940 წელთან შედარებით 25-ჯერ გადიდდა!

თბილისის აეროპორტში, საქართველო სამოქალაქო ავიაციის მუშაკთა საზეიმო კრებაზე, რომელიც მიეძღვნა დიდი ოქტომბრის 50 წლისთავს, რესპუბლიკის ავიატორებს საზეიმო ვითარებაში გადაეცათ სამახსოვრო დროშები.

რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ა. ლაბარტყომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს, საქართველოს მინისტრთა საბჭოს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს სამახსოვრო დროშა.

ალგეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ი. ქოფთარაძეს საიუბილეო სოციალისტური ვალდებულებების შესრულებისათვის საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რესპუბლიკური პროფსაბჭოს სამახსოვრო დროშა საზეიმო ვითარებაში გადასცა საქართველოს კპ თეთრი წყაროს რაიკომის პირველმა მდივანმა ი. ელოშვილმა.

ცხოვლმზაღების თეთრი წყაროს რაიკავშირი (მმართველი ი. ბუროდელი) დაჯილდოვდა ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს, ავტოს მრეწველობის პროფკავშირების გარდამავალი წითელი დროშით. დროშა გადასცა საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრის პირველმა მოადგილემ მ. შუბითიძემ.

საიუბილეო სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეული საუკეთესო მაჩვენებლებისათვის თეთრი წყაროს სატყიერ ეეურნეობა (დირექტორი ა. ტყეშელაშვილი) დაჯილდოდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და ქალაქისა და ხუნ დამშენებების პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით და პირველი ფიფლადი პრემიით. დროშა გადასცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ი. ჩოდრიშვილმა.

საზეიმო სხდომაზე კოლმეურნეობების თავმჯდომარეებს, საბჭოთა ნეურნეობების დირექტორებს, პარტიული ორგანიზაციების მდივნებს, და რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს სპეციალისტებს გადაეცათ ფასიანი საჩუქრები.

1966 წელს სოფლის მეურნეობის დარგში მიღწეული წარმატებებისათვის ირაკლი და ასურეთის კოლმეურნეობებსა და მოწინავე კოლმეურნეებს გადაეცათ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მოწმობები. მოწმობა გადაეცა აგრეთვე ალი ბოლიტაკის შესანიშნავი ნაყოფი. ამ პოლიტაკის შედეგად საქართველო გადაიქცა აყვავებულ რესპუბლიკად, რომელსაც აქვს მოწინავე ეკონომიკა და კულტურა.

საკავშირო პალატის საბჭოს სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ე. ჯაფარიძე. მან გულთბილად მიულოცა რესპუბლიკის საწარმოთა, სამეცნიერო დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და უწყებათა კოლექტივებს, რომლებმაც უზრუნველყვეს ალჟირის საერთაშორისო ბაზრობის საბჭოთა პავილიონს საქართველოს სსრ ნაწარმოებით. ამ ბრძოლაში ბრძოლა ძლიერდება.

ბარაბაშვილი ჩაფლული ქალაქი ონი. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ადმინისტრაციული, სამოცმანიანი და თვრამეტმანიანი საცხოვრებელი სახლების, მექანიზებული პურის საცხობი ქარხნის მშენებლობა. წყალსადენის მშენებლობის მუშაკები დაძაბულად შრომობენ, რომ ვადამდე მისცენ ქალაქს, ცივი წყალი ქალაქის მოსახლეობას.

სამეახლოვრო დროშები გამარჯვებულთ

ალგეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ი. ქოფთარაძეს საიუბილეო სოციალისტური ვალდებულებების შესრულებისათვის საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რესპუბლიკური პროფსაბჭოს სამახსოვრო დროშა საზეიმო ვითარებაში გადასცა საქართველოს კპ თეთრი წყაროს რაიკომის პირველმა მდივანმა ი. ელოშვილმა.

ცხოვლმზაღების თეთრი წყაროს რაიკავშირი (მმართველი ი. ბუროდელი) დაჯილდოვდა ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს, ავტოს მრეწველობის პროფკავშირების გარდამავალი წითელი დროშით. დროშა გადასცა საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრის პირველმა მოადგილემ მ. შუბითიძემ.

საიუბილეო სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეული საუკეთესო მაჩვენებლებისათვის თეთრი წყაროს სატყეო ეეურნეობა (დირექტორი ა. ტყეშელაშვილი) დაჯილდოდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და ქალაქისა და ხუნ დამშენებების პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით და პირველი ფიფლადი პრემიით. დროშა გადასცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ი. ჩოდრიშვილმა.

საზეიმო სხდომაზე ოქტომბერის 50 წლისთავის აღსანიშნავ შეჯიბრებაში მოპოვებული წარმატებებისათვის, თბილისის № 5 სატვირთო ავტოსატრანსპორტო კანტორა დაჯილდოებულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს სამახსოვრო დროშა.

საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში მაღალი მაჩვენებლებისათვის საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ზეინაბეჯობისა და მიწილეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის კოლექტივი დაჯილდოებულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს სამახსოვრო დროშა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგემ ე. გ. ღოღობაძემ ციროვლებს მიულოცა დიდი მიღწევები სოციალისტურ შეჯიბრებაში და საწარმოს დირექტორს ა. შ. ჩიქოვანს გადასცა წითელი დროშა.

მაღალი ჯილდოს პასუხად ციროვლებმა ვალდებულება იკისრეს ვადამდე შეასრულონ ხუთწლედის დავალებანი.

გორკის სახელობის კულტურის სახლში სამახსოვრო დროშები გადაეცათ დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ „საქჩაის“, „სამტრესტის“, და „საქთამბაქოს“ ტრესტების კოლექტივებს.

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრმა ვ. ვადაჭკორიამ ტრესტების კოლექტივებს მიულოცა მაღალი ჯილდო, უსურვა მათ ახალი წარმატებანი შრომაში. შეკრებილთა ტაშის გრიალში მან „საქჩაის“ ტრესტის მმართველს ო. აბესაძისა და „სამტრესტის“ მმართველს გ. თუშმალიშვილს გადასცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და რესპუბლიკის პროფსაბჭოს სამახსოვრო დროშები, ხოლო „საქთამბაქოს“ ტრესტის მმართველს ა. მირცხულავას — საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროსა და კვების მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის სამახსოვრო დროშა.

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულებს გულთბილად მიულოცეს ჯილდოები საქართველოს სსრ ზრაცისა და რძის მრეწველობის მინისტრის მოადგილემ ვ. ქადეიშვილმა, ზუგდიდის № 2 ჩაის ფაბრიკის დირექტორმა, საბჭოთა კავშირის გმირმა შ. ჩილაჩავამ და სხვებმა. (საქდესი).

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ბ. ს. ბოცირიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და კომკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით გორის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ბიგრატ სპას-ძე **ბოცირიძე** დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ქოფენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მდივანი ზ. კვაჭაძე

თბილისი,
1967 წლის 17 ნოემბერი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ვ. ლ. ურუშაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით თბილისის ელექტრომეკანიკური კომბინატის დირექტორი ამხ. ვასილ ლუკას-ძე **ურუშაძე** დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ქოფენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მდივანი ზ. კვაჭაძე

თბილისი,
1967 წლის 17 ნოემბერი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ა. ე. ჭითანავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ალექსანდრე ესტატეს-ძე **ჭითანავა** დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ქოფენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მდივანი ზ. კვაჭაძე

თბილისი,
1967 წლის 17 ნოემბერი.

კომუნისტი

მე-2 გვერდი, შაბათი, 18 ნოემბერი, 1967 წ.

მაიაკოვსკის ზვრების ბარაქა

ალაური გლეხი მამულს არის გადაგებული... საკენახეა ჩვენი მიწაო, — იტყვიან იმერეთში. და მართლაც, ვაზის კულტურა საქართველოს ამ მხარეში უსოვარი დროიდანვე ცნობილი.

მეევნახეს თითქმის ერთნაირ სიხარულა ჰგვრის ვაზის ზრდა, კვირტის გაღვიძება, ყვავილობა, ყურძნის დაისრიმება, შეთვალება, ბაგრამ ვერაფერი შეედრება რთვლის სიხარულს, მთ უმეტეს ვაზისათვის თუ არაფერი დაგიკლია და შედეგსაც კარგს იმკი.

წელს მაიაკოვსკელებმა სიტყვა საქმედ აქციეს. დაეგიახებული რთველის მიუხედავად ნაცვლად 8.690 ტონისა სახელმწიფოს მიჰყიდეს 8.738 ტონა ყურძენი.

განსაკუთრებით თავი ისახელეს სოფელ დიმის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მევენახეებმა, აქ საშუალოდ ჰექტარზე 60 ცენტნერამდე ყურძენი მოკრიფეს.

ამ სოფლის საკოლმეურნეო ზვრებში კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ნიკოლოზ ჩიქვინიძეს შევხვდი. იგი განათლებით აგრონომია, კარგად იცნობს თავისი სოფლის წარსულს, ხალისიანად მიამბობს დიმის დიდებულ აწმყოსა და მომავლის პერსპექტივებზე.

— საკოლმეურნეო ცხოვრებამ, — ამბობს ნიკოლოზი. — წელში გაამართა ჩვენებური გლეხი. ხედავთ ამ შ

გელით, გერმანელო მეგობარო!

ერთი კვირის შემდეგ საქართველოში დაიწყება **გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის** კულტურის დღეები. ამ ამბავთან დაკავშირებით ჩვენ „კომუნისტის“ კორესპონდენტი ეწვია საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილეს, საქართველოში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დღეების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეს **ვახტანგ კუპრავას** და სთხოვა ეამბნა გერმანელთა სტუმრობის შესახებ.

— გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის დღეები საქართველოში, — თქვა ვახტანგ კუპრავამ, — არის არა მარტო მიღწევათა ჩვენება და გამოფენა, არამედ მეგობრობის კიდევ ერთი გამოვლინება.

საბჭოთა კავშირში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დღეები დიდი ხანია კარგ ტრადიციად იქცა. ასეთი დღეები უკვე გაიმართა მოძმე რესპუბლიკებში — უკრაინაში, ბელორუსიასა და ესტონეთში. ამჯერად გერმანელთა მასპინძელი საქართველო იქნება.

25 ნოემბერს თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის შენობაში ოფიციალურად, სადღესასწაულოდ გაიხსნება ეს დღეები, რომლებიც 3 დეკემბრამდე გასტანს.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციაში 300-ზე მეტი წარმომადგენელი იქნება. თვით ეს რიცხვი თავისთავად მეტყველებს იმაზე, რომ გერმანელთა კულტურა, შემოქმედება, ხელოვნება, მუსიკა, ფერწერა ფართოდ იქნება წარმოდგენილი.

მრავალრიცხოვან დელეგაციას მეთაურობს გდრ-ის კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე **ჰორსტ ბრაში** და გერმანიის დემოკრატიული **რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში ბინნერი.** დელეგაციის შემადგენლობაში არიან რესპუბლიკის კულტურულ კავშირთა განყოფილების გამგე ირენე გაზი, უმაღლესი მუსიკალური სკოლის პროფესორი ცილენზეკი, ლაიპციგის სოლოქო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვერნერ ვოლფი, გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ცენტრალური გამგეობის მდივანი ჰელმუტ შეფერი, პროფესორი და მწერალი ალფრედ კურელა, მხატვარი ლეა გრუნდიგი, მწერალი მაქს ციმერინგი, ქალაქ ბერლინის რაიკომის მდივანი ჰორსტ პალმი და სხვ.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურისა და ხელოვნების დღეები საქართველოს ოთხ ქალაქში გაიმართება: თბილისში, ქუთაისში, სოხუმსა და ბათუმში.

საქართველოს მშრომელები ამ დღეებში გაეცნობიან უმთავრესად მუსიკალურ კოლექტივებს. მათ შორის იქნება „დრეზდენის სიმფონიური ორკესტრი „შტატსკაპელი“, რომელმაც მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო კოლექტივის სახელი მოიხვეჭა.

დრეზდენის „შტატსკაპელი“ 400 წლისაა. მას დიდი და სახელოვანი ისტორია აქვს და იგი დღესაც მნიშვნელოვან საქმეს ასრულებს როგორც თანამედროვეობისათვის, ისე მომავლისთვისაც. დრეზდენის მუსიკალური ცხოვრება განუყოფლად არის დაკავშირებული ამ ორკესტრთან.

მეორე მსოფლიო ომის დროს როცა დრეზდენმა საშინელი ნგრევა განიცადა, „შტატსკაპელე“ დაშლის საშიშროების წინაშე იდგა, მაგრამ მუსიკოსთა მტკიცე ნებისყოფამ კვლავ აიყვანა მათი ხელოვნება და დღეს ორკესტრი ისევ მსოფლიოს შესანიშნავი საშემსრულებლო კოლექტივების რიცხვშია. „შტატსკაპელეს“ ირგვლივ მიწდა დავუმატო, რომ იდირიჟორებს ცნობილი დირიჟორი მარტინ ტურნოფსკი.

ორკესტრთან ერთად საქართველოში ჩამოვა ინსტრუმენტული კვარტეტი და კვინტეტები, რომლებიც დამოუკიდებელ კონცერტებს გამართავენ.

საქართველოს საკონცერტო დარბაზებში გამოვა აგრეთვე სიმღერის ანსამბლი სახელწოდებით „ანსამბლი-66“. ამ ანსამბლთან ერთად მოვუსმენთ პოპულარულ მომღერალს **ვერა ოლშანსკაიას,** რომელიც შეასრულებს ბ. ბრეხტის სიმღერებს.

გარდა ამ ანსამბლისა მოვუსმენთ მადრიგალისტებს ქალაქ ჰალედან.

საქართველოს მშრომელები გაეცნობიან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის თვითმოქმედებასაც — გვეხუმრება გერმანელ სტუდენტ მომღერალთა გუნდი.

ვინაიდან სიტყვა სიმღერაზე ჩამოვაგდეთ, მინდა ვთქვა, რომ ამ დღეებში მოვუსმენთ გერმანული ვოკალური კულტურის ერთ-ერთ საუკეთესო წარმომადგენელს **ზიგრიდ კელს.**

ზიგრიდ კელი ბერლინელია. ბავშვობაში იგი ფორტეპიანოს დაკვრას სწავლობდა, ფორტეპიანოს განხრითვე დამთავრა მან კონსერვატორიის კურსი, მაგრამ სიმღერის სიყვარულმა გადასძლია და შევიდა ბერლინის უმაღლესი მუსიკალური სკოლის ვოკალურ ფაკულტეტზე. 1966 წელს მაგდებურგში, ახალგაზრდა მსახიობთა ფესტივალზე ზიგრიდ კელმა მეორე პრემია მოიპოვა. იმავე წელს მომღერალმა კვლავ გაიმარჯვა შუმანის სახელობის საერთაშორისო კონკურსზე.

კელი ამჟამად ბერლინის ოპერის სოლისტია. თბილისელები მას მოუსმენენ „აიდაში“, სადაც მომღერალი ამნერისის პარტიას შეასრულებს. გარდა ამისა, იგი კამერულ კონცერტებს გამართავს.

საქართველოს საკონცერტო დარბაზებში კონცერტებს გამართავს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სასერადო ორკესტრი გოლაშის ხელმძღვანელობით. მსუბუქი მუსიკის მოყვარულებს საშუალება ექნებათ გერმანული საესტრადო მუსიკა და სიმღერები მოისმინონ.

საქართველოს კინოთეატრებში გერმანული კინოფილმების კვირეული გაიმართება და ეკრანებზე კვლავ შეეხვდებით ნაცნობ მსახიობებს, რომლებიც საქართველოს კინოს მოყვარულებმა დიდი ხანია შეიყვარეს.

გერმანელთა კულტურის დღეებში განწრახულია დიდი ადგილი დათმოს მხატვრობას. სტუმრები ჩამოიტანენ 6 დიდსა და 15 მცირე გამოფენას, რომელთა შორის იქნება ცნობილი **ლეა გრუნდიგის 360 ნამუშევარი.**

სახვითი ხელოვნების მოყვარულნი კარგად იცნობენ მსოფლიოში განთქმულ დრეზდენის გალერიას. იგი ზედმეტ დახასიათებასა და აღწერას არ მოითხოვს. ვიტყვით მხოლოდ, რომ ამ გალერიის 128 ფერწერული ტილოს საუკეთესო რეპროდუქციას ნახავენ თბილისელები.

ერთ-ერთი დიდი და საინტერესო გამოფენა იქნება წიგნის გამოფენა. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წიგნის ბეჭდვა მაღალი ხარისხით ხასიათდება. საქართველოს მშრომელებს საშუალება ექნებათ თვით დარწმუნდნენ გერმანული წიგნის „წარმოების“ მაღალხარისხოვნებაში.

საქართველოს ტელევიზია მოაწყობს გადაცემას, რომელშიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დღევანდელი დღე და მომავალი გამოჩნდება.

ჩვენი ბავშვები შესანიშნავ გამოფენას ნახავენ პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში. ეს იქნება გერმანული სათამაშოების გამოფენა, რომელსაც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურისა და ხელოვნების დღეების დამთავრების შემდეგ ჩვენი სტუმრები პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეს საჩუქრად გადასცემენ.

რამდენი კარგი უოფითი საგანი მზადდება დღეს მინისაგან. საქართველოს მშრომელები გაეცნობიან გერმანული შუშის ნაწარმსაც.

პირველად ამგვარ დელეგაციებში მონაწილეობას მიიღებენ სპორტსმენებიც. ჩვენ ვნახავთ გერმანელ კლასიკურ მოჭიდავეთა და ძიუ-დოისტთა, აგრეთვე კალათბურთელთა და წყალბურთელთა გამოსვლებს.

ასეთი იქნება მოკლედ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის დღეები საქართველოში, რომელიც ბევრ საინტერესო ფურცელს გაგვაცნობს გერმანელთა ცხოვრებიდან.

* * *

სურათზე: ქალაქ დრეზდენის ერთ-ერთი კუთხე.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში

16 ნოემბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ს. პ. კოზირევმა კანადის მოსკოველ ელჩს რ. ა. დ. ფორდს გადასცა შემდეგი შინაარსის ნოტა:

„საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს დავალებული აქვს კანადის მთავრობას განუცხადოს შემდეგი.

7 ნოემბერს, როცა საბჭოთა ხალხი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს ზეიმობდა, ოტავაში სსრ კავშირის საელჩოს წინ მოეწყო საბჭოთა კავშირისადმი მტრული დემონსტრაცია. მისი თაოსნები იყვნენ ბანდეროველებისა და სხვა ანტისაბჭოთა დაჯგუფებების მთავარნი, რომლებიც ჰიტლერელებთან თანამშრომლობდნენ მეორე მსოფლიო ომის დროს და ახლა კანადაში პოვეს თავშესაფარი. ამ მიზნით დასავლეთ გერმანიიდან ოტავაში ჩაიყვანეს ბანდეროველთა მოთავე სამხედრო დანშაავე სტუდენტი, რომელმაც სპეციალური ინსტრუქტაჟი მოუწყო ამ უწესრიგობათა მონაწილეებს.

სსრ კავშირის საელჩოს შენობის წინ პროვოკაცია მოეწყო სწორედ იმ დროს, როცა აქ დარბაზობა იყო ოქტომბრის 50 წლისთავის გამო. თავმოყრილ ხულიგანთა ბრბომ ჩაკეტა საელჩოს მისასვლელები და ფურცლებს აჭრიალებდა. სტუმრებს, რომლებიც დარბაზობაზე მიდიოდნენ, შეურაცხყოფდნენ, ესროდნენ საღებავით სავსე ბოთლებსა და სხვა საგნებს. საელჩოს შენობის ფანჯრებში ჩაამსჭვიტეს მინები, კედლები გაოუპენეს, სცადეს შენობისათვის ცეცხლი წაეკიდებინათ.

იმავე დღეს ანტისაბჭოთა პროვოკაცია მოაწყვეს მონრეალში სსრ კავშირის გენერალური საკონსულოს შენობასთანაც.

სსრ კავშირის საელჩომ კანადაში რამდენჯერმე მიაპყრო კანადის მთავრობის ყურადღება პროვოკაციების მუადებას, დაბეჯითებით მოითხოვდა განეხორციელებინათ შესაბამისი ღონისძიებანი ამ უწესრიგობათა აღსაკვეთად, რომლებიც ეწინააღმდეგება სახელმწიფოთა შორის ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობის პრაქტიკას. საბჭოთა მხარემაც მისცა შესაბამისი ინფორმაციები. საბჭოთა მხარე „არაოფიციალურ“ მაგალითად ამბობდა, „ეს ბანდეროველები ოტავაში ჩამოვიდნენ, ოტავაში ცხოვრობენ, ოტავაში ეწევიან ანტისაბჭოთა საქმიანობას, ოტავაში ეწყობა ანტისაბჭოთა ბანდეროველთა ყრილობა“ — ეს ფაქტიურად ადასტურებს, ოტავის ადგილობრივ ორგანოებს ინტერესებსა — ეს მეტიც, ყოველგვარი საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ ეს პროვოკაციები მოამზადეს და მოეწყო კანადის ოფიციალურ ორგანოებთან ერთად. ეს ფაქტიურად ადასტურებს აშკარა წყაროებიდან.

ფაქტიურად პროვოკაციის ორგანიზატორთა განკარგულებაში აღმოჩნდა არა მარტო პრესის ორგანოები, არამედ კანადის რადიო და ტელევიზიაც, რომლებიც რამდენიმე დღის განმავლობაში ფართო რეკლამას უწევდნენ მტრულ ხულიგნურ აქციებს, რომლებსაც საბჭოთა საელჩოს წინააღმდეგ ამზადებდნენ. თვით უწესრიგობის დროსაც კი კანადის პოლიცია არსებითად არაფერს არ აკეთებდა და იმოწმებდა, „არაეთარი მითითებანი არ მიგვიღიაო“.

საბჭოთა მთავრობა მტკიცე პროტესტს უცხადებს კანადის მთავრობას მტრული და პროვოკაციული მოქმედების გამო ოტავაში სსრ კავშირის საელჩოსა და მონრეალში სსრ კავშირის გენერალური საკონსულოს წინააღმდეგ. ცხადია, მთლიანად კანადის მთავრობას ეკისრება პასუხისმგებლობა ამ აქციათა მატერიალური და პოლიტიკური შედეგებისათვის, რომლებიც აშკარად ადასტურებენ, რომ კანადის მხარე არ ასრულებს თავის მოვალეობას, რომელიც გამომდინარეობს ვენის კონვენციიდან დიპლომატიური ურთიერთობის შესახებ.

საბჭოთა მთავრობა მხედველობაში იღებს სინანულს, რომელიც ამ ამბების გამო გამოთქვა საგარეო საქმეთა მინისტრმა მარტინმა მიმდინარე წლის 8 ნოემბრის წერილში სსრ კავშირის ელჩისადმი, მაგრამ მინისტრის წერილი ამ საკითხზე დამაკმაყოფილებლად არ მიაჩნია, რადგან მასში არსებითად ცდილობს გაათავისუფლოს კანადის ხელისუფალნი პასუხისმგებლობისაგან იმ პროვოკაციებისათვის, რომლებიც საბჭოთა საელჩოს წინააღმდეგ მოეწყო.

საბჭოთა მხარე დაბეჯითებით მოითხოვს მკაცრად დასაჯოს ანტისაბჭოთა პროვოკაციის მოთავენი და მონაწილენი და მთლიანად აანაზღაურონ მატერიალური ზარალი, რომელიც საბჭოთა წარმომადგენლობას მიაყენეს. საბჭოთა მთავრობა იმედოვნებს, რომ კანადის ხელისუფალნი განახორციელებენ საჭირო ღონისძიებებს, რათა ნორმალური პირობები შეიქმნას კანადაში საბჭოთა დაწესებულებების საქმიანობისათვის“.

ელჩმა განაცხადა, რომ იგი დაუყოვნებლივ აცნობებს თავის მთავრობას ამ ნოტის შესახებ.

ხელი მოანერეს საეჭვო ომს სსრ კავშირსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის

ბერლინი, 16 ნოემბერი. (საკდესი). მოლაპარაკების შედეგად, რომელიც აქ მიმდინარეობდა სრული ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის ვითარებაში, დღეს ხელი მოაწერეს ომს სსრ კავშირსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის საქონლის ურთიერთმიწოდების შესახებ 1968 წლისათვის.

ოქმით გათვალისწინებულია გადიდდეს საქონლბრუნვა ორ კვეყანას შორის 2,8 მილიარდი მანეთით, ანუ 10 პროცენტით და მეტად მიმდინარე წლის საქონლბრუნვის გამართულ პრეს-კონფერენციაზე პარიზში მყოფმა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა მ. ვ. კელდიშმა.

მან ჟურნალისტებს გააცნო სამუშაოთა სტრუქტურა და ორგანიზაცია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასა და მოკავშირე რესპუბლიკათა აკადემიებში, უამბო, როგორ შეიქმნა ციმბირში დიდი სამეცნიერო-საკვლევი ცენტრი.

საბჭოთა კავშირი, თქვა მ. ვ. კელდიშმა, აქტიურ მონაწილეობას იღებს მთელი მსოფლიოს მეცნიერებისა და ტექნიკური პროგრესის განვითარებაში. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა დამსწრეთ მოაგონა საბჭოთა კავშირის მეცნიერთა მიღწევები კოსმოსის კვლევაში, მათემატიკაში, ბირთველ ფიზიკაში, რამაც „საბჭოთა კავშირს საშუალება მისცა მოკლე ვადებში დაემორჩილებინა ატომის ენერგია და პირველს დაეწყო ატომური ენერგიის გამოყენება მშვიდობიანი მიზნით“.

მ. ვ. კელდიშმა დამსწრეთ გააცნო აგრეთვე საბჭოთა კავშირის მეცნიერთა წარმატებები მეცნიერული კვლევის სხვა დარგებში — პლაზმის ფიზიკაში, რადიოფიზიკაში, ქიმიაში, გეოლოგიაში, გეოგრაფიაში, ოკეანოგრაფიაში, ასტროფიზიკაში. დასასრულ მან პასუხი გასცა ჟურნალისტთა მრავალ შეკითხვაზე.

ინდოეთისა და ჩეხოსლოვაკიის კომპარტიათა დელეგაციების ერთობლივი განცხადება

პრაღა, 17 ნოემბერი. (საკდესი). ინდოეთის კომუნისტური პარტია და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტია აცხადებენ, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ხელი შეუწყონ საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთობის განმტკიცებას მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებზე. ეს ნათქვამია ინდოეთის კომპარტიისა და ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის დელეგაციათა ერთობლივ განცხადებაში, რომელიც გუშინ პრაღაში გამოქვეყნდა. ორივე პარტიას მიაჩნია, აღნიშნულია განცხადებაში, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ მოიწვიონ კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირი. ისინი პირობას იძლევიან, რომ აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ამ თათბირის მომზადებაში და ხელს შეუწყობენ მის სრულ წარმატებას. ინდოეთის კომპარტიის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობდა ინდოეთის კომპარტიის ეროვნული საბჭოს გენერალური მდივანი რაჯეშვარ რაო, ჩეხოსლოვაკიაში იყო 13-დან 16 ნოემბრამდე ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწვევით. დელეგაციას მოლაპარაკება ჰქონდა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან ა. ნოვოტნისთან და ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის სხვა ხელმძღვანელებთან. მოლაპარაკების დროს მომმე პარტიების წარმომადგენლებმა ერთმანეთს გაუზიარეს ინფორმაცია ორი კვეყნის მდგომარეობის შესახებ, თავიანთი პარტიების საქმიანობის შესახებ, აგრეთვე განიხილეს მრავალი საერთაშორისო პოლიტიკური პრობლემა. მოლაპარაკებამ დაადასტურა აზრთა სრული ერთობა ყველა განხილულ საკითხზე.

გუშინ ინდოეთის კომპარტიის დელეგაცია პრაღიდან მოსკოვს გაემგზავრა.

მ. ვ. კელდიშის პრეს-კონფერენცია პარიზში

პარიზი, 16 ნოემბერი. (საკდესი). დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ჩვენს ქვეყანაში დასაბამი მისცა მეცნიერების განვითარების ახალ ეტაპს, განაცხადა გუშინ სსრ კავშირის საელჩოში გამართულ პრეს-კონფერენციაზე პარიზში მყოფმა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა მ. ვ. კელდიშმა.

საბჭოთა მნერლები საერთაშორისო გამოემგზავრნენ

ხარკოვი, 17 ნოემბერი. (საკდესი). ორ კვირაზე მეტ ხანს იყვნენ სუდანში სტუმრად საბჭოთა მწერლები **ი. ნაგიბინი** და **ვ. მაჟაკიანი,** რომლებიც აქ ჩამოვიდნენ სუდანელი კოლეგების მოწვევით. ისინი გაეცნენ სუდანის ლიტერატურულ ცხოვრებას, იმოგზაურეს ამ კვეყანაში. საბჭოთა მწერლები მიიღო პრემიერ-მინისტრმა, შეხვდნენ სუდანის საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეებს. დღეს ისინი სამშობლოში გამოფრინდნენ. „მოგზაურობამ ჩვენზე უდიდესი შთაბეჭდილებანი მოახდინა,— განაცხადა გაფრენის წინ ი. ნაგიბინმა. მან მადლობა გადაუხადა სუდანელ მწერალთა კავშირს გულთბილი მიღებისათვის და გამოთქვა რწმენა, რომ განმტკიცდება მეგობრული ურთიერთობა საბჭოთა და სუდანელ მწერლებს შორის.

კომუნისტი

მე-3 გვერდი, შაბათი, 18 ნოემბერი, 1967 წ.

საერთაშორისო ცხოვრება

მაქს რაიმანის განცხადება

ბერლინი, 16 ნოემბერი. (საკდესი). გერმანიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა მაქს რაიმანმა მოითხოვა მოღვაწეობის სრული თავისუფლება მიეხეჭოს დასავლეთ გერმანიაში არსებულ, მაგრამ ბონის ხელისუფალთა მიერ აკრძალულ კომუნისტურ პარტიას. მან უპასუხა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის ვილი ბრანდტის განცხადებას გერმანიის კომპარტიის ხელახლა შექმნის შესაძლებლობის შესახებ.

გაზეთმა „ნოიეს დოიჩლანდმა“ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც მაქს რაიმანი ხაზს უსვამს, რომ კი არ უნდა „შეიქმნაო ახალი პარტია, რომელსაც კომუნისტურს დაარქმევენ, არამედ უნდა მოხდეს გერმანიის არსებული კომუნისტური პარტიის საქმიანობის ლეგალიზაცია. მისი ხელახლა შექმნა საჭირო არ არის, იგი არსებობს, — ხაზს უსვამს მაქს რაიმანი. — მას მხოლოდ უნდა მივანიჭოთ უფლება განახორციელოს თავისი მოღვაწეობა სრული თავისუფლების პირობებში“.

მაქს რაიმანმა განაცხადა, რომ გერმანიის კომპარტია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციის პრინციპების შესაბამისად იბრძვის დემოკრატიისათვის, თავისუფლებისა და სოციალური სამართლიანობისათვის. აკრძალვის მიუხედავად, გერმანიის კომპარტია შეუპოვრად იბრძვის საგანგებო კანონების წინააღმდეგ, ატომური შეიარაღებისა და ომის მოშზადების წინააღმდეგ, სოციალური უფლებებისათვის, განიარაღებისა და ევროპის უშიშროებისათვის, იმისათვის, რომ ცხონ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა.

ინუ-იორკი, 17 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ დამამთავრა ეგრეთწოდებული კორეის საკითხის განხილვა. ასამბლეამ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის შესაბამისად გაგრძელდება უცხოეთის ჩარევა კორეელი ხალხის საქმეებში.

კორეის მშვიდობიანი გაერთიანებისათვის

ამერიკის შეერთებული შტატების ზემოქმედებით ასამბლეამ მოიწონა რეზოლუცია, რომლის თანახმად სამხრეთ კორეის ტერიტორიაზე რჩებიან ამერიკის შეერთებული შტატების სოკუპაციო ჯარები და ოკუპანტთა იარაღი — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგრეთწოდებული კორეის გაერთიანებისა და აღდგენის კომისია.

ამ რეზოლუციას ხმა მისცა 68 ქვეყანამ. წინააღმდეგ მისცა ხმა 23 ქვეყანამ, მათ შორის საბჭოთა კავშირმა, სხვა სოციალისტურმა ქვეყნებმა და აზია-აფრიკის რამდენიმე ქვეყანამ. 26 ქვეყანამ თავი შეიკავა.

კენჭისყრის მოტივებზე გამოვიდა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი ნ. ტ. ფედორენკო, რომელმაც განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მიერ თავსმოხვეული რეზოლუცია ოდნავაც ვერ უწყობს ხელს მთავარი ამოცანის გადაწყვეტას — კორეის მშვიდობიან გაერთიანებას. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ალმით შენიღბულმა უცხოეთის საოკუპაციო ჯარებმა და სამხრეთ კორეის მარიონეტულმა ხელისუფლებამ, განაგრძო ნ. ტ. ფედორენკომ, ამ ბოლო დროს გააძლიერეს სამხედრო პროვოკაციები კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. ეს ამწვავებს ვითარებას კორეის ნახევარკუნძულზე და ზრდის მორეულ ომისასვლელთში ომის დაწყების საფრთხეს.

დისკუსიამ ცხადყო, აღნიშნა საბჭოთა წარმომადგენელმა, რომ ვაშინგტონმა სამხრეთ კორეა გიიხადა მსხვილ სამხედრო-სტრატეგიულ პლაცდარმად აზიის ხალხთა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამერიკის შეერთებული შტატები არა მარტო განაგებენ სამხრეთ კორეის ტერიტორიას, როგორც თავიანთ სამხედრო ბაზას, არამედ სულ უფრო მეტი მასშტაბით იყენებენ სამხრეთკორეელ დაქირავებულ ჯარისკაცებს საზარბაზნე ხორცად ბინძურ ომში ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომისია, განაგრძო ნ. ტ. ფედორენკომ, ხელს აფარებს სამხრეთ კორეის ოკუპაციას ამერიკის ჯარების მიერ, ამართლებს უხეშ ჩარევას კორეელი ხალხის საქმეებში. იგი არათუ ხელს არ უწყობს კორეის საკითხის გადაწყვეტას კორეელი ხალხის ინტერესებისათვის, არამედ ერთ-ერთი სერიოზული დაბრკოლებაა კორეელი ხალხის მიერ ამ მიზნის მიღწევის გზაზე.

სახელმწიფოებმა, რომლებიც დგანან კორეელი ხალხის ინტერესების დაცვისა და შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობის განმტკიცების პოზიციაზე, წამოაყენეს და იცავენ წინადადებას, რომ კორეიდან დაუყოვნებლივ გაიყვანონ ამერიკისა და უცხოეთის სხვა სახელმწიფოთა მთელი ჯარები, რომლებიც ოკუპაციას უწევენ კორეას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომისია კორეის საკითხებზე, რომელიც კორეელი ხალხის საქმეებში უცხოეთის ჩარევის მთავარ იარაღს წარმოადგენს.

მხოლოდ ასეთ გადაწყვეტილებათა მიღების შედეგად შეიქმნება საჭირო პირობები კორეის პრობლემის მშვიდობიანი გადაწყვეტისა და კორეის ორივე ნაწილის მშვიდობიანი გაერთიანებისათვის.

ჩეხოსლოვაკიის, მონღოლეთის, პოლონეთისა და კუბის წარმომადგენლებმაც ამ მხრივ ასაბამლიაში საძრახისი როლი, რომელსაც გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ასრულებს კორეაში ამერიკელი ოკუპანტების ინტერესებისათვის.

ინუ-იორკი, 17 ნოემბერი. (საკდესი). ეგვიპტის, ალჟირის, ბურუნდის, ინდოეთის, ირანის, ირლანდიის, ესპანეთის, ეთიოპიის, ბრაზილიის, ბულგარეთის, ბელგიის, ბირმის, ბოლივიის, ბურკინა ფასოს, ბენინის, ბაჰამის, ბარბადოსის, ბოტსვანის, ბუტანის, ბურუნდის, ბაგამელის, ბაჰრეინის, ბარბადოსის, ბოტსვანის, ბუტანის, ბურუნდის, ბაგამელის, ბაჰრეინის, ბელორუსიის, ბელგიის, ბენინის, ბოლივიის, ბრაზილიის, ბულგარეთის, ბურკინა ფასოს, ბირმ

ჩვენს კარე-ჯარეში

გვაყოფიერებენ „კომუნისტისა“ და საქმესის კორესპონდენტები

სრულიად საკავშირო დათვალიერებაში გამარჯვებულნი

დამთავრდა მხატვრული კოლექტივების სრულიად საკავშირო დათვალიერება, რომელიც მიეძღვნა დიდი ოქტომბრის იუბილეს. ამ დიდ შემოქმედებითს შეჯიბრებაში, რომელმაც ოთხ წელიწადს გასტანა, მონაწილეობდა 122 პროფესიული კოლექტივი ყველა მოკავშირე რესპუბლიკიდან. დათვალიერების ორგანიზატორები იყვნენ სსრ კავშირის კულტურის სამინისტრო, სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირი და სსრ კავშირის მწერალთა კავშირი.

ჟიურიმ გამოაცხადა გამარჯვებული კოლექტივები. დათვალიერების ლაურეატთა წოდებანი და 1 ხარისხის დიპლომები მოიპოვა 46 კოლექტივმა. მათ შორის არიან —მოსკოვის, ლენინგრადის, უკრაინის, ბელორუსიის, აზერბაიჯანის, ესტონეთისა და ლიტვის საუკეთესო სიმფონიური ორკესტრები, ბალეტიისპირეთისა და ხომხეთის საგუნდო კოლექტივები, საქართველოსა და მოლდავეთის ცეკვის ანსამბლები, უაზსეთის ხალხურ ინსტრუმენტთა ორკესტრი.

28 კოლექტივმა მიიღო ლაურეატის წოდებანი და მეორე ხარისხის დიპლომები. ათმა კოლექტივმა მიიღო საპატიო დიპლომები.



დიად ოქტომბერს მიეძღვნა

აგიტმხატვრული ბრიგადების რესპუბლიკური ფესტივალი

აგიტმხატვრული ბრიგადები ჩვენს დედაქალაქში პირველად 1964 წელს გამოვიდნენ რესპუბლიკურ დათვალიერებაზე. ამჯერად გაიმართა რესპუბლიკური ფესტივალი, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს მიეძღვნა დ. ბუნებრივია რომ მისი თემატიკაც ძირითადად ამ პროფილით შემოიფარგლა. ფესტივალს წინ უძღოდა ორი ტური. პირველ ტურში მონაწილეობა მიიღო 470 კოლექტივმა 4.871 მონაწილით, მეორე ტურში კი — 149 კოლექტივმა 1.618 მონაწილით. რესპუბლიკური ფესტივალისათვის შეირჩა 36 აგიტმხატვრული ბრიგადა, მაგრამ აქედან მონაწილეობა მიიღო 37-მა.

ფესტივალის შედეგები რომ შეჯამა, ჟიურიმ პირველი ხარისხის დიპლომებით დაჯილდოდა 8 აგიტმხატვრული ბრიგადა (ბათუმის ელექტროხელსაწყოების ქარხნის, აბაშის, ცხაკაიას, ლენტეხის, წითელწყაროს, ბორჯომის, კასპის სარაიონო კულტურის სახლებისა და სამტრედიის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს აგიტმხატვრული ბრიგადები). მეორე ხარისხის დიპლომებით დაჯილდოდა 14 კოლექტივი (ქობულეთის, ბოდანოვკის, სოხუმის, გულრიფშის რაიონის სოფ. დრანდის, თიანეთის, ბათუმის, ხაშურის, გულრიფშის, ზუგდიდის, წალენჯიხის, წყალტუბოს სარაიონო და ფოთის საქალაქო და თბილისის ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა კულტურის სახლები, ქუთაისის საკონსერვო ქარხნის კოლექტივი. მესამე ხარისხის დიპლომებმი მოიპოვეს ქარელის, გურჯაანის, ცაგერის, გეგეჭკორის სარაიონო, მანგლისის საქალაქო, თელავის რაიონის აკურის სასოფლო კულტურის სახლებმა, ბოგდანოვკის რაიონის კალინინის სასოფლო და ხობის რაიონის თორსადგების საბჭოთა მეურნეობის კულუბებმა. დიპლომებით დაჯილდოდნენ აგრეთვე ხელმძღვანელები და ცალკეული შემსრულებლები.

რა გვიჩვენა ფესტივალმა?

ფესტივალმა მაღალ იდეურ დონეზე ჩაიარა და თავისი ამოცანა ჩინებულად შეასრულა. ეს უწინარეს ყოვლისა განაპირობა შესაფერისმა რეპერტუარმა, რომელიც სპეციალურად დაუკვეთეს პროფესიონალ ავტორებს სარაიონო კულტურის სახლებმა (ცხაკაია, აბაშა, ზუგდიდი, სამტრედია, თბილისი). ამ რეპერტუარის ავტორები გ. ივანიშვილი, ნ. ხუნწარია, რ. ყენია, ვ. გოგოლაშვილი, ა სვანი და სხვ. ამ ძირითადი თემის რელიეფურად დასახატვისათვის იყენებენ მცირე ფორმის დრამატურგიის თითქმის ყველა სახეობას: სკეტჩს, ფელეტონს, მინიატიურას, პაროდიას, ინტერმედიას და შაირებს. ზოგიერთი მათგანი (ს. სტარანდაკი, ა. ხაჟომია, ი. გვაზავა, ა. სვანი) იყენებს მხატვრულ ძლაკატს და ჩვეულებრივ საუბარს მაყურებელთან. ამ გამართულ რეპერტუარს ხორცს ასხამდა ხელოვნების მრავალფეროვანი ჟანრი, რომელიც ასე უხვად არის გამოყენებული (თეატრალური, ვოკალური, ქორეოგრაფიული, სახვითი ხელოვნება, აკრობატიკა და სხვ.) რაც მთავარია, რეპერტუარს დიდ დირსებას მატებდა ჯანსაღი იუმორი და სატირა.

საკმაოდ მაღალია საშემსრულებლო დონე. აგიტმხატვრულ ბრიგადას მრავალმხრივი შემსრულებლები სჭირდება და ამის მიღწევა არც ისე ადვილია. ეს დიდი სიძნელე თითქმის სავსებით ვადაულახავს ზოგიერთ კოლექტივს (სამტრედია, ცხაკაია, აბაშა, წითელწყარო). ისეთი შემსრულებლები, როგორც არიან ე. ...ა, ... ერქვანი, ...ლავა, ...ია, ... ბორჯგა, ...ორავა, ...ალიანი, ...ამანი, ...ია, ...ია, ...ია